

ურთიერთგაგების მემორანდუმი

**ბრაზილიის ეროვნულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსა და
საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს შორის**

**პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კანონების
აღსრულებაში ურთიერთდახმარების შესახებ**

ურთიერთგაგების წინამდებარე მემორანდუმი („მემორანდუმი“) გაფორმებულია

2025 წლის -- 17/09

მონაწილე მხარეთა შორის:

ბრაზილიის ეროვნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ANPD“, დაარსებული პრეზიდენტის 2018 წლის 27 დეკემბრის №869 დროებითი ბრძანებულებით, შემდგომში 2019 წლის 14 აგვისტოს №13,853 კანონი და 2022 წლის 25 ოქტომბრის №14,460 კანონის საფუძველზე ჩამოყალიბდა სპეციალურ სამთავრობო დაწესებულებად, რეგისტრირებულია კორპორაციული გადასახადის გადამხდელთა ეროვნულ რეესტრში – („იურიდიული პირების ეროვნულ რეესტრში“) („CNPJ“), ნომრით 44.365.866/0001-71, მდებარეობს Setor Comercial Norte – SCN, კვარტალი 6, კომპლექსი A, შენობა Venâncio 3000, ბლოკი A, 9º andar, საფოსტო კოდი 70.716-900 – ბრაზილია – DF, ბრაზილია, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის - პრეზიდენტის, ბატონი ვალდემარ გონსალვეს ორტუნო ჯუნიორის მიერ.

და საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „PDPS“ - დაარსდა 2018 წლის 21 ივლისის „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ (3273-რს) საქართველოს კანონის საფუძველზე და ფუნქციონირებს 2023 წლის 14 ივნისის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (№3144-XIმს-Xმპ) საქართველოს კანონის VI თავის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდი 206400660, მდებარეობა - საქართველო, თბილისი, 0105, ვაჟა-ფშაველას ქ. 48, ბაქოს ქ., 6010, ბათუმი, საქართველო, წარმოდგენილი სამსახურის უფროსის დოქტ. დოქტ. ლელა ჯანაშვილის მიერ.

ბრაზილიის ეროვნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო და საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, შემდგომში მოხსენიებულნი იქნებიან, როგორც „მონაწილე მხარე“, ხოლო ერთობლივად - „მონაწილე მხარეები“.

აღიარებენ, თანამედროვე გლობალური ეკონომიკის არსებულ მდგომარეობას, პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის ტრანსსასაზღვრო გადაცემის ზრდას, ინფორმაციული ტექნოლოგიების სირთულეს და, შედეგად, პერსონალური მონაცემების

და ინფორმაციის დაცვის ტრანსსასაზღვრო აღსრულებისთვის თანამშრომლობის გაზრდის საჭიროებას;

აღიარებენ, რომ 2018 წლის 14 აგვისტოს №13.709 ბრაზილიის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის („LGPD“) 55-J მუხლის IX პუნქტი ანიჭებს ბრაზილიის ეროვნულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს („ANPD“) უფლებამოსილებას, განახორციელოს საერთაშორისო ან ტრანსნაციონალური თანამშრომლობის ღონისძიებები სხვა ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან;

აღიარებენ, რომ 2023 წლის 14 ივნისის საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (№3144-XIმს-Xმპ) და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2025-2028 წლების საქმიანობის სტრატეგია (მე-5 მიზანი: საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება) საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს („PDPS“) უფლებამოსილებას ანიჭებს, განახორციელოს საერთაშორისო ან ტრანსნაციონალური თანამშრომლობის ღონისძიებები სხვა ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან;

აღიარებენ, რომ მონაწილეებს აქვთ თავიანთ ქვეყნებში პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვის უფლებამოსილებები და ვალდებულებები;

აღიარებენ, რომ მონაწილეები დაინტერესებულნი არიან პერსონალური მონაცემების დაცვისა და ინფორმაციის სხვადასხვა საკითხზე თანამშრომლობით;

შეთანხმდნენ, რომ ითანამშრომლებენ აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის (მემორანდუმის) ფარგლებში შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1. წინამდებარე მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე, მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში გამოყენებულ შემდეგ ტერმინებსა და აბრევიატურებს ექნება ქვემოთ მითითებული მნიშვნელობა, თუ შინაარსი სხვაგვარად არ მოითხოვს მათ განმარტებას.

ა) „მოქმედი კანონი“ გულისხმობს თითოეული მონაწილე ქვეყნის კანონებსა და რეგულაციებს, რომელთა აღსრულება გავლენას ახდენს პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვაზე. ეს მოიცავს ნებისმიერ ცვლილებას ორივე იურისდიქციის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობაში, ისევე, როგორც სხვა კანონებსა თუ რეგულაციებს, რომლებიც მონაწილეებს დროდადრო წერილობითი ფორმით ერთობლივად შეუძლიათ მიიჩნიონ, როგორც მოქმედი კანონი ამ მემორანდუმის მიზნებისათვის.

ა.1) საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შემთხვევაში „მოქმედი კანონი“ გულისხმობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს, (2023 წლის 14 ივნისის №3144-XIმს-Xმპ).

ა.2) ბრაზილიის ეროვნულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს შემთხვევაში, „მოქმედი კანონი“ გულისხმობს 2018 წლის 14 აგვისტოს №13,709 – ბრაზილიის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონს („LGPD“).

ბ) „საერთო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა“, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ მემორანდუმში, ნიშნავს ქცევას, რომელიც ეწინააღმდეგება ერთი მონაწილის ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობას და იმავე ან არსებითად მსგავს ქცევას, რომელიც ეწინააღმდეგება მეორე მონაწილის ქვეყნის მოქმედ კანონებს.

გ) „პირი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მათ შორის ნებისმიერ კორპორაციას, არაკორპორაციულ გაერთიანებას ან ამხანაგობას.

დ) „მოთხოვნა“ ამ მემორანდუმის მიხედვით ნიშნავს დახმარების წერილობით მოთხოვნას.

ე) „მოთხოვნის ადრესატი“ ნიშნავს მონაწილეს, რომლისგანაც წინამდებარე მემორანდუმის მიხედვით ითხოვენ დახმარებას, ან რომელმაც გაუწია ასეთი დახმარება.

ვ) „ადრესატი“ ნიშნავს მონაწილეს, რომელიც ითხოვს ან იღებს დახმარებას ამ მემორანდუმის შესაბამისად.

მუხლი 2. მიზნები და ფარგლები

2.1. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის მონაწილეები იღებენ ვალდებულებას, მიიღონ აუცილებელი ზომები ურთიერთდახმარების, ტექნიკური, რეგულირებისა და აღსრულების ხელშესაწყობად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2.2. მონაწილეები აღიარებენ, რომ მათი საერთო ინტერესია თანამშრომლობა ამ მემორანდუმის შესაბამისად, რათა:

ა) უზრუნველყონ, რომ მონაწილეებს შეეძლოთ რეგულირებადი თანამშრომლობის განხორციელება, რაც აუცილებელია ბრაზილიისა და საქართველოს მოქალაქეების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დასაცავად, მათი იურისდიქციების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ითანამშრომლონ თავიანთი მოქმედი კანონების აღსრულების თვალსაზრისით;

გ) ერთმანეთს მიაწოდონ ინფორმაცია თავიანთ ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობის განვითარების შესახებ, რაც გავლენას მოახდენს ამ მემორანდუმზე;

დ) უზრუნველყონ ტექნიკური მხარდაჭერა და გაუზიარონ გამოცდილება პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული რეგულირებისა და აღსრულების საკითხებში;

ე) მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდონ ინფორმაცია მიმდინარე საქმის წარმოების შესახებ;

ვ) ხელი შეუწყონ ერთობლივ საქმის წარმოებას (კანონიერების შესწავლას) ან აღსრულებით ღონისძიებებს, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენს პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვის თვალსაზრისით;

ზ) შესაბამისი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მხარი დაუჭირონ მეორე მონაწილის იურისდიქციის ფარგლებში საქმის წარმოებასა და აღსრულებას.

2.3. ამ ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში მონაწილეებს შეუძლიათ ერთობლივად განსაზღვრონ თანამშრომლობის ერთი ან მეტი სფერო ან ინიციატივა, როგორებიცაა:

ა) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მიმართულებით გამოცდილების გაზიარება და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა;

ბ) პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით განათლების, ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამების განვითარება;

გ) ერთობლივი კვლევითი პროექტების დანერგვა და განხორციელება;

დ) ინფორმაციის (პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის გარდა) გაცვლა, რომელიც დაკავშირებულია პოტენციურ ან მიმდინარე საერთო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საქმის წარმოებასთან;

ე) ერთობლივი საქმის წარმოების ჩატარება ტრანსსასაზღვრო საკითხების შესახებ, რომლებიც ეხება ორივე მონაწილის იურისდიქციას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში (პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის გაზიარების გამოკლებით); ან

ვ) ორმხრივი შეხვედრების გამართვა, რაც ერთობლივად გადაწყდება მონაწილეებს მიერ.

2.4. ეს მემორანდუმი არცერთ მონაწილეს არ აკისრებს ვალდებულებას, ითანამშრომლოს ან გააზიაროს რაიმე ინფორმაცია.

2.5. თუ მონაწილე გადაწყვეტს, თავისი შეხედულებისამებრ ითანამშრომლოს ან გააზიაროს ინფორმაცია, მას შეუძლია დააწესოს შეზღუდვები ან პირობები ამ მოთხოვნაზე, თუ:

ა) მოთხოვნა სცილდება მემორანდუმის ფარგლებს;

ბ) მოთხოვნა არღვევს მონაწილის სამართლებრივ პასუხისმგებლობებს.

მუხლი 3. ურთიერთდახმარებასთან დაკავშირებული პროცედურები

3.1. თითოეული მონაწილე დანიშნავს საკონტაქტო პირს, რომელიც წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში პასუხისმგებელი იქნება დახმარების მოთხოვნებსა და სხვა კომუნიკაციებზე.

3.2. როდესაც მონაწილეები ითხოვენ დახმარებას პროცედურულ, კანონიერების შესწავლისა და სხვა საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამისი კანონების აღსრულებასთან საერთაშორისო მასშტაბით, ისინი უზრუნველყოფენ, რომ დახმარების მოთხოვნები შეიცავდეს საკმარის ინფორმაციას, რათა მოთხოვნის ადრესატმა მონაწილემ შეძლოს განსაზღვროს, უკავშირდება თუ არა მოთხოვნა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევას და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები.

3.3. მოთხოვნები უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, მოთხოვნის საფუძველად არსებული ფაქტების აღწერას, მოთხოვნილი დახმარების ტიპს, აგრეთვე - მითითებას ყველა განსაკუთრებულ ზომაზე, რომლებიც უნდა იქნეს მიღებული მოთხოვნის შესრულების პროცესში.

3.4. დახმარების მოთხოვნებში უნდა იყოს მითითებული მიზანი, რომლისთვისაც მოთხოვნილი ინფორმაცია გამოიყენება.

3.5. დახმარების მოთხოვნამდე მონაწილეებმა უნდა ჩაატარონ წინასწარი მოკვლევა, რათა უზრუნველყონ, რომ მოთხოვნა შეესაბამება ამ მემორანდუმის ფარგლებს და არ აწესებს გადამეტებულ ტვირთს მოთხოვნის ადრესატი მონაწილისთვის.

3.6. მემორანდუმის პირობების შესაბამისად, კომუნიკაციის დამყარებისა და ერთმანეთთან თანამშრომლობის მიზნით, მონაწილეები მიიღებენ ზომებს იმ საკითხებზე, რომლებიც შეიძლება დაეხმაროს მიმდინარე საქმის წარმოებას.

3.7. თუ ამ მემორანდუმის ფარგლებში გაზიარებული ინფორმაცია არ არის ზუსტი, სრულყოფილი ან განახლებული, მონაწილეები დაუყოვნებლივ აცნობებენ ერთმანეთს.

3.8. მონაწილეებს შეუძლიათ საქმის წარმოების მოთხოვნების გადაგზავნა, საჩივრების გადაცემა ან შეტყობინებების მიწოდება შესაძლო დარღვევების შესახებ, რომლებიც ეხება მეორე მონაწილის იურისდიქციაში მოქმედ კანონებს.

მუხლი 4. საკონტაქტო პირები

4.1. ამ მემორანდუმის ფარგლებსა და მის შედეგად წარმოშობილ ერთობლივ საქმიანობებში შემდეგი პირები იმოქმედებენ, როგორც მონაწილე მხარეების საკონტაქტო პირები.

4.1.1. ბრაზილიის ეროვნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთვის

სახელი: ედუარდო გომეს სალგადო

პოზიცია: ინსტიტუციური და საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი კოორდინატორი

ტელეფონი: (+5561) 2025-8138

ელ. ფოსტა: eduardo.salgado@anpd.gov.br

მისამართი: Setor Comercial Norte - SCN, Quadra 6, Conjunto A, Edifício Venâncio 3000, Bloco A, 10º andar, CEP 70.716-900 - ბრაზილია, ბრაზილია.

4.1.2. საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის:

სახელი: ნინო ხუბულია

თანამდებობა: საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების და სამართლებრივ საკითხთა კოორდინატორი

ტელეფონი: +995 597 790 001

ელ.ფოსტა: nkhubulia@pdps.ge

მისამართი: ვაჟნაძის ქ. 0105, თბილისი, საქართველო.

4.2. მეორე მონაწილისთვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თითოეულ მონაწილეს შეუძლია შეცვალოს ამ მემორანდუმის მიზნებისთვის დანიშნული საკონტაქტო პირები.

მუხლი 5. ხარჯები

5.1. მემორანდუმიდან გამომდინარე მოქმედებები განხორციელდება ურთიერთთანამშრომლობით.

5.2. თუ მონაწილე მხარეთა მიერ სხვაგვარად არ არის გადაწყვეტილი, მოთხოვნის ადრესატი მონაწილე გადაიხდის მოთხოვნის შესრულების ყველა ხარჯს.

5.3. წინამდებარე მემორანდუმის მიხედვით, როდესაც ინფორმაციის მიწოდების ან მოპოვების ღირებულება არსებითია, მოთხოვნის ადრესატ მონაწილეს შეუძლია სთხოვოს მეორე მხარეს ამ ხარჯების გადახდა, როგორც მოთხოვნის განხორციელებისთვის აუცილებელი პირობა.

5.4. ზემოთ მოხსენიებული (5.3. პუნქტი) შემთხვევისთვის, რომელიმე მონაწილის მოთხოვნის საფუძველზე, მონაწილეები ამ საკითხთან დაკავშირებით გაივლიან კონსულტაციას.

მუხლი 6. პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის გაზიარების აკრძალვა

6.1. მონაწილეები პერსონალურ მონაცემებსა და ინფორმაციას გააზიარებენ მხოლოდ ამ მემორანდუმისა და თითოეული მონაწილის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მემორანდუმის მიზნების მისაღწევად.

6.2. პერსონალური მონაცემების ან ინფორმაციის გაზიარებისას მონაწილეები შეძლებისდაგვარად გამოიყენებენ მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა მიიღონ შესაბამისი პირ(ებ)ის თანხმობა.

6.3. თუ მონაწილეებს სურთ პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის გაზიარება, მაგალითად, ნებისმიერ ტრანსსასაზღვრო საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ორივე იურისდიქციას, თითოეული მონაწილე განიხილავს შესაბამისობას საკუთარ მოქმედ კანონმდებლობასთან, რომელმაც შესაძლოა აუცილებელი გახადოს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების დადება.

მუხლი 7. ინფორმაციის შენახვა

7.1. ამ მემორანდუმის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია არ იქნება შენახული იმაზე მეტი ვადით, ვიდრე ეს საჭიროა იმ მიზნის შესასრულებლად, რისთვისაც იყო გაზიარებული, ან ვიდრე ამას ადრესანტი მონაწილის კანონმდებლობა მოითხოვს.

7.2. მონაწილეები გამოიყენებენ ყველა ძალას, რათა დააბრუნონ არასაჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, თუ მოთხოვნის ადრესატი მონაწილე წერილობით ითხოვს ასეთი ინფორმაციის დაბრუნებას.

7.3. თუ არ არის მოთხოვნილი ინფორმაციის დაბრუნების მოთხოვნა, ადრესანტი მონაწილე განკარგავს ინფორმაციას მოთხოვნის ადრესატი მონაწილის მიერ დადგენილი მეთოდების გამოყენებით, ან თუ ასეთი მეთოდები დაუდგენელია, სხვა უსაფრთხო მეთოდებით, მას შემდეგ, რაც აღარ იქნება ინფორმაციის საჭიროება.

7.4. მონაწილეები გააზიარებენ ინფორმაციას ამ მემორანდუმის შესაბამისად მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად.

7.5. მომთხოვნი მონაწილე არ გამოიყენებს მოთხოვნილი მონაწილისგან მიღებულ ინფორმაციას იმ მიზნისგან განსხვავებული მიზნით, რომლისთვისაც ინფორმაცია თავდაპირველად იყო გაზიარებული.

მუხლი 8. კონფიდენციალურობა

8.1. ამ მემორანდუმის ფარგლებში გაზიარებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და არ უნდა იქნეს გამჟღავნებული სხვა მონაწილის თანხმობის გარეშე.

8.2. როდესაც მონაწილეებს შორის კონფიდენციალური მასალა ზიარდება, ის განსაზღვრული იქნება უსაფრთხოების შესაბამისი ფორმით.

8.3. მონაწილეები იღებენ ვალდებულებას, რომ წინამდებარე მემორანდუმის შესრულების ფარგლებში მიღებულ ყველა კონფიდენციალურ ინფორმაციას შეინარჩუნებენ აბსოლუტურ საიდუმლოდ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის გამცემი მონაწილე წერილობით გასცემს თანხმობას მის გამჟღავნებაზე.

8.4. კონფიდენციალური ინფორმაცია გამოყენებული იქნება ექსკლუზიურად ამ მემორანდუმით გათვალისწინებული კონკრეტული მიზნებისათვის.

8.5. თავიანთი ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად, მონაწილეები მაქსიმალურ წინააღმდეგობას გაუწევენ მესამე მხარის ნებისმიერ მოთხოვნას იმ კონფიდენციალური ინფორმაციისა ან მასალების გამჟღავნების თაობაზე, რომლებიც მიღებულია მოთხოვნილი მონაწილისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოთხოვნის ადრესატი მონაწილე მათ გამჟღავნებაზე თანხმობას განაცხადებს.

8.6. მონაწილე, რომელიც მიიღებს მესამე მხარის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების ნებისმიერ განცხადებას, დაუყოვნებლივ აცნობებს მოთხოვნის ადრესატ მონაწილეს, რომელმაც მას კონფიდენციალური ინფორმაცია მიაწოდა.

მუხლი 9. ინციდენტის შესახებ შეტყობინება

9.1. ინფორმაციის გადაცემისათვის უნდა შეთანხმდეს შესაბამისი უსაფრთხოების ზომები. უსაფრთხოების შესაბამისი ზომები უნდა იყოს შეთანხმებული კონკრეტულ შემთხვევებში ინფორმაციის გადაცემის დასაცავად, ინფორმაციის სენსიტიურობისა და გამგზავნის მიერ გამოყენებული ნებისმიერი კლასიფიკაციის შესაბამისად.

9.2. თითოეული მონაწილე გამოიყენებს მაქსიმალურ ძალისხმევას წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში ნებისმიერი მიღებული ინფორმაციის უსაფრთხოების დასაცავად და პატივს სცემს მონაწილეთა მიერ შეთანხმებულ ნებისმიერ გარანტიას.

9.3. ინფორმაციის არაუფლებამოსილი წვდომის ან გამჟღავნების შემთხვევაში, მონაწილეები მიიღებენ ყველა გონივრულ ზომას შემთხვევის განმეორების თავიდან ასაცილებლად და დაუყოვნებლივ აცნობებენ სხვა მონაწილეს აღნიშნული შემთხვევის შესახებ.

9.4. როდესაც მოთხოვნის ადრესატი მონაწილისგან მოპოვებული ან გაზიარებული კონფიდენციალური მასალა არასწორად არის გამჟღავნებული ან გამოყენებული ადრესანტი მონაწილის მიერ, ადრესანტი მონაწილე აღნიშნულს დაუყოვნებლივ შეატყობინებს მოთხოვნის ადრესატ მონაწილეს.

მუხლი 10. მემორანდუმის სამართლებრივი შეზღუდვები და იურიდიული ძალა

10.1. მოთხოვნის ადრესატ მონაწილეს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ უარი თქვას ადრესანტი მონაწილის დახმარების თხოვნაზე, შეზღუდოს ან პირობა დადოს მასთან თანამშრომლობაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოთხოვნა არის ამ მემორანდუმის ფარგლებს გარეთ, ან უფრო ზოგადად, როდესაც მოთხოვნა არ შეესაბამება შიდა კანონმდებლობას ან მნიშვნელოვან შიდა ინტერესებს, ან პრიორიტეტებს.

10.2. ადრესანტი მონაწილეს შეუძლია მოითხოვოს დასაბუთება, რომლის საფუძველზეც მოთხოვნის ადრესატმა მონაწილემ უარი თქვა ან შეზღუდა დახმარება, ან თანამშრომლობა.

10.3. ამ მემორანდუმის მიზანი არ არის:

ა) შექმნას მბოჭავი ვალდებულებები ან გავლენა მოახდინოს არსებულ საერთაშორისო ვალდებულებებზე, ან შექმნას ვალდებულებები მონაწილეთა შესაბამისი იურისდიქციის ქვეყნების კანონმდებლობით;

ბ) ხელი შეუშალოს მონაწილეს დახმარების ან თანამშრომლობის მოთხოვნაზე, ან სხვა მონაწილეს დახმარების გაწევაზე;

გ) შეზღუდოს მონაწილის უფლება, კანონიერ საფუძველზე მოითხოვოს ინფორმაცია იმ პირისგან, რომელიც იმყოფება სხვა მონაწილის ტერიტორიაზე, და არც ის არის ორიენტირებული იმაზე, რომ აღკვეთოს ასეთი პირის ნებაყოფლობითი ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

დ) შექმნას იმგვარი ვალდებულებები ან დახმარების, ან თანამშრომლობის მოლოდინი, რომელიც გადააჭარბებს მონაწილის იურისდიქციას.

მუხლი 11. საჯაროობა და გამჟღავნება

11.1. ურთიერთგაგების მემორანდუმიდან გამომდინარე, ქმედებების საჯაროობა უნდა იყოს საგანმანათლებლო, ინფორმაციული ან სოციალურად ორიენტირებული და არ უნდა შეიცავდეს სახელებს, სიმბოლოებს ან გამოსახულებებს, რომლებიც გამოიწვევს ორივე მონაწილის უფლებამოსილი ორგანოების ან საჯარო მოხელეების პირად დაწინაურებას.

მუხლი 12. ცვლილებები

12.1. მემორანდუმი შეიძლება შეიცვალოს, მთლიანად ან ნაწილობრივ, მონაწილეთა მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების ან დამატებებით, იმ დათქმით, რომ მისი მიზანი შენარჩუნებულია.

მუხლი 13. ურთიერთთანამშრომლობის ხანგრძლივობა

13.1. ურთიერთგაგების მემორანდუმის ვადა შეადგენს ხუთ (5) წელს ბოლო ხელმოწერის თარიღიდან და შეიძლება გაგრძელდეს ერთჯერადად იმავე ხანგრძლივობით, შესწორების ან დამატებების, ან ურთიერთშეთანხმების გზით, რომელიც შესრულდება მონაწილეთა მიერ მისი მოქმედების განმავლობაში.

13.2. აღნიშნული შეიძლება შეწყდეს კონკრეტული მიზეზით, ნებისმიერ დროს, რომელიმე მონაწილის მიერ მეორე მონაწილისთვის წერილობითი მინიმუმ სამოცი (60) დღით ადრე გაფრთხილების საფუძველზე.

13.3. ამ მემორანდუმის ფარგლებში გაწეული დახმარება ვრცელდება საერთო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევაზე, რომელიც მოხდება ამ მემორანდუმის შესრულებამდე ან მის შემდეგ.

13.4. მეექვსე და მეშვიდე მუხლების შესაბამისად, მემორანდუმის შეწყვეტის შემდეგ მონაწილეები შეინარჩუნებენ კონფიდენციალობას სხვა მონაწილის მიერ ამ მემორანდუმის გათვალისწინებით და, მეშვიდე მუხლის დებულებების შესაბამისად, დააბრუნებენ ან გაანადგურებენ სხვა მონაწილისაგან ამ მემორანდუმის გათვალისწინებით მიღებულ ინფორმაციას.

მუხლი 14. დავის გადაწყვეტა

14.1. მონაწილეები გამოიყენებენ მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც მეოთხე მუხლში მითითებული კონტაქტების მეშვეობით შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში.

14.2. მითითებულ კონტაქტებს შორის გონივრულ დროში გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში კონფლიქტები მონაწილეთა ხელმძღვანელებს შორის დისკუსიითა და მოლაპარაკებით მოგვარდება.

მუხლი 15. გაუთვალისწინებელი შემთხვევები

15.1. საკითხები, რომლებსაც არ ითვალისწინებს მემორანდუმი, გადაწყდება მონაწილეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რაც ემსახურება მემორანდუმის მიზნის სრულად შესრულებას.

მუხლი 16. ელექტრონული ხელმოწერა

16.1. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის ელექტრონული და ციფრული საშუალებებით გაფორმება აღიარებულია ორივე მონაწილის მიერ, როგორც ნამდვილი და სრულად ეფექტური, მას შემდეგ, რაც ორივე მონაწილე ხელს მოაწერს მემორანდუმს.

ხელმოწერილია პორტუგალიურ, ინგლისურ და ქართულ ენებზე. თითოეული ვერსია თანაბარი ძალის მქონეა იმავე ფორმითა და შინაარსით. განმარტებაში არსებული უთანხმოების შემთხვევაში უპირატესი ძალის მქონეა ინგლისური ვერსია.



ვალდემარ გერნსალვეს ორტუნო ჯუნიორი
ხელმძღვანელ-პრეზიდენტი

ბრაზილიის ეროვნული პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სახელმძღვანელო ორგანო



დოქტ. დოქტ. ლელა ჯანაშვილი
უფროსი

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური